გორის ვაშლი

რეგისტრაციის № 29

რეგისტრაციის თარიღი: 19/12/2024

გეოგრაფიული აღნიშვნა: გორის ვაშლი

საქონლის დასახელება, რომლისთვისაც რეგისტრირებულია გეოგრაფიული აღნიშვნა: ვაშლი

განმცხადებლის სახელი და მისამართი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; მარშალ გელოვანის გამზ. №34, 0159, თბილისი, საქართველო

1. **პროდუქტის სახელი:** გორის ვაშლი
2. **პროდუქტის აღწერა**

დაცული გეოგრაფიული აღნიშვნით „გორის ვაშლი“ დაცვას ექვემდებარება ვაშლის შემდეგი ჯიშები: გალა, რედ დელიშესი, გოლდენ დელიშესი, ჯონაპრინცი, პინოვა, მეფე ფუჯი, გრანი სმიტი, რომლებიც მოწეულია მე-3 პუნქტით განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალში და აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ მოთხოვნებს:

ჯიშები	**სიმტკიცე (გ/სმ²)**	**შაქრის შემცველობა (°Bx)**	**ვაშლის ფერი**	**წონა (გ)**	ფორმა
გალა	≥ 5	≥ 12	ალისფერ-წითელი, ოდნავ შესამჩნევი თეთრი წერტილებით	≥ 165	მრგვალი ან მომრგვალო- კონუსური

რედ დელიშესი	≥ 5	≥ 11	მიმზიდველი წითელი, სრულ სიმწიფეში გადადის მუქ იისფერ-შავში	≥ 200	წაგრძელებული კონუსური
გოლდენ დელიშესი	≥ 5	≥ 12	ყვითელი, მწვანე და ოქროსფერი ტონებით	≥ 170	კონუსური ფორმის, ოდნავ წახნაგოვანი
ჯონაპრინცი	≥ 5	≥ 12	მუქი წითელი, მოყვითალო-მოყავისფრო წერტილებით	≥ 200	მომრგვალო- კონუსური
პინოვა	≥ 5	≥ 13	წითელ-მოყვითალო შეფერილობის, 75– 80% დაფარულია ნარინჯისფერი-წითელი ფერის ზოლებით	≥ 165	მომრგვალო- კონუსური, ოდნავ წახნაგოვანი
მეფე ფუჯი	≥ 5	≥ 12	მოოქროსფრო წითელი შეფერილობის	≥ 165	მომრგვალო- კონუსური
გრანი სმიტი	≥ 5	≥ 12	ინტენსიური მწვანე; დაწინწკლულია შესამჩნევი თეთრი წერტილებით	≥ 180	მომრგვალო- კონუსური

მთლიანობაში გორის ვაშლი გამოირჩევა მაღალი საგემოვნო თვისებებით და ნაზი სასიამოვნო სურნელით. იგი ხასიათდება სიტკბოთი, რომელიც კარგად არის დაბალანსებული მჟავიანობით, რაც ვაშლს სიხალისეს სძენს. პროდუქტისათვის, ასევე, დამახასიათებელია ხრაშუნა და წვნიანი რბილობი. ამ რეგიონში მოყვანილ ვაშლებს, ასევე, გააჩნია განსაკუთრებით მიმზიდველი ცოცხალი შეფერილობა, რომელიც ზოგიერთი ჯიშების შემთხვევაში, ძირითად ფერთან ერთად, დამატებით ტონალობებსაც იძენს. მაგალითად, ამ ზონაში მოყვანილი გოლდენ დელიშესი მზის მხარეს ვარდისფრად, ხოლო გრანი სმიტის 10-12% მოწითალოდ იფერება [1].

გასაყიდად გატანილი, მომხმარებლისთვის განკუთვნილი „გორის ვაშლი“ უნდა იყოს დაუზიანებელი, ჯანსაღი, სუფთა და ზედაპირზე თვალით შესამჩნევი ჭუჭყის გარეშე.

3. წარმოების გეოგრაფიული არეალი

გორის ვაშლის წარმოების ზონა მოიცავს შიდა ქართლის ვაკეზე მდებარე გორის, კასპის, ცხინვალის და ქარელის მუნიციპალიტეტების სოფლებს. აქ ბაღები გაშენებულია როგორც უშუალოდ ვაკეზე, ისე მიმდებარე მთებისა და ბორცვების კალთებზე ზღვის დონიდან 500-დან 1000 მეტრამდე სიმაღლეზე. გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული ვაშლი შეიძლება მოწეულ იქნეს როგორც სპეციალურად გაშენებულ ვაშლის პლანტაციებში, ისე პირად საკარმიდამო ნაკვეთებში.

4. წარმოების პროცესის აღწერა

4.1. გასაშენებელი მასალა

ბაღის გასაშენებლად საჭირო ნერგები, საძირეები და სათესლე მასალა აუცილებელია თავისუფალი იყოს მავნე ორგანიზმებისგან (მწერები, სოკოები, ბაქტერიები, ვირუსები).

4.2. ბაღის გაშენება

ბაღის გაშენებამდე შერჩეულ ფართობზე უნდა ჩატარდეს ნიადაგის ღრმად დამუშავება (პლანტაჟი) 45-50 სმ-ის სიღრმეზე. ასევე, ნიადაგის აგრო-ქიმიური გამოკვლევის საფუძველზე, უნდა მოხდეს ორგანულ-მინერალური (ფოსფოროვან-კალიუმიანი) სასუქისა და ქიმიური მელიორანტების შეტანა, ნიადაგის ჯვარედინული მოხვნა და დაფარცხვა.

ექსტენსიური ბაღების შემთხვევაში, ძირების სიმჭიდროვე უნდა შეადგენდეს 300 ვაშლის ძირს ჰა-ზე, ხოლო ინტენსიური განაშენიანების პირობებში კი ხეხილის სიმჭიდროვე არ უნდა აღემატებოდეს 3000 ძირს ჰა-ზე.

4.3. ბაღების გამწვანება

ვაშლის ზრდა-განვითარებისათვის აუცილებელია ნიადაგის სინოტივის შენარჩუნება, რისთვისაც ბაღში მიწის ზედაპირის ნაწილი ბალახეულით უნდა იყოს დაფარული.

4.4. ირიგაცია

გორის ვაშლის წარმოების რეგიონისთვის, რომელიც ხასიათდება ხანგრძლივი და ცხელი ზაფხულით და ამ პერიოდში წვიმების ნაკლებობით, ბაღების ირიგაცია წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პირობას ხეხილის გახარებისა და დადგენილი

სტანდარტების ვაშლის წარმოებისათვის. ინტენსიური ბაღების შემთხვევაში გამოიყენება მორწყვის წვეთოვანი სისტემები.

4.5. ნიადაგის განოყიერება

ვაშლის ხის ზრდა-განვითარება და ნაყოფის ხარისხი, წყლის მიწოდებასთან ერთად, საჭიროებს მცენარის საკვები ნივთიერებებით მომარაგებას, რაც ხორციელდება ნიადაგში მინერალური და ორგანული სასუქების შეტანის გზით. კომპლექსური მინერალური სასუქების შეტანა ხდება ოქტომბერ-ნოემბერში, აზოტოვანი სასუქების კი – აპრილსა და სექტემბერში.

4.6. მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები

მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ღონისძიებები უნდა ჩატარდეს მავნე ორგანიზმების ბიოლოგიური/ფენოლოგიური და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, მცენარეთა დაცვის ბრძოლისთვის შემუშავებული ინტეგრირებული IPM სისტემის საფუძველზე.

4.7. გასხვლა-ფორმირება

ინტენსიურ და ნახევრად ინტენსიური მეთოდით გაშენებულ ბაღში გამოიყენება ვარჯის ფორმირების შემდეგი ორი მეთოდი: ცენტრალურ-ლიდერული და ფრანგულ-ვერტიკალური სისტემა.

4.8. მოსავლის აღება

ვაშლის კრეფის ვადები დამოკიდებულია ჯიშის ნიშან-თვისებებზე, მიკროკლიმატზე, ნიადაგის ტიპზე, ნაკვეთის ადგილმდებარეობაზე, ბაღის მოვლის აგროტექნიკაზე, მსხმოიარობის ინტენსივობაზე და სხვა. მოსავლის აღება ხდება მშრალ ამინდში, როცა ნაყოფი მიაღწევს ჯიშისთვის დამახასიათებელ სიდიდეს და შეფერილობას. ნაყოფის კრეფა ხდება ხელით, ქვემოდან ზემოთ. ვაშლის ბაღში განხორციელებული მოსავლის აღების ოპერაციების ზუსტი ვადები დგინდება მწარმოებლების მიერ როგორც ნაყოფის ორგანოლეპტიკური მახასიათებლების ექსპერტული შეფასებით, ისე ინსტრუმენტული საშუალებების გამოყენებით. ქვემოთ მოცემულია გორის ვაშლის კრეფის სავარაუდო ვადები ჯიშების მიხედვით.

გალა – სექტემბრის დასაწყისი;

რედ დელიშესი – სექტემბრის შუა პერიოდი ან სექტემბრის ბოლო;

გოლდენ დელიშესი – სექტემბრის ბოლო ან ოქტომბრის დასაწყისი;

ჯონა პრინცი – სექტემბერი;

პინოვა – სექტემბრის ბოლო – ოქტომბრის პირველი დეკადა;

მეფე ფუჯი – ოქტომბრის შუა რიცხვები;

გრანი სმიტი – სექტემბრის მესამე დეკადიდან ოქტომბრის პირველ დეკადამდე.

4.9. გადაზიდვა - შენახვა

მოკრეფის შემდეგ ვაშლი სუფთა სატრანსპორტო საშუალებით და შესაბამისი ტარით გადაიზიდება მიმღებ პუნქტებში, სადაც მოკრეფილი ნაყოფი ჯიშებისა და ზომების მიხედვით დახარისხების შემდეგ თავსდება ყუთებში და შეინახება სპეციალურ სათავსოში ან სამაცივრო დანადგარებში 1-4°C ტემპერატურის პირობებში.

5. წარმოშობის დადასტურება

გორის ვაშლის წარმოებასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა: ხეხილის ბაღების მოვლა-გაშენება, მოსავლის აღება, ნაყოფის დახარისხება, გასუფთავება, დასაწყობება და დაფასოება ხდება მე-3 პუნქტში მოცემულ დაცული გეოგრაფიული აღნიშვნისათვის დადგენილ არეალში. ბაღების მოვლისა და საწარმოო პროცესის მთელ ჯაჭვში მონაწილე ბიზნეს-ოპერატორის (რომლის საქმიანობა დაკავშირებულია დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის წარმოების ნებისმიერ ეტაპთან) მონაცემები აღირიცხება მეწარმეთა ჯგუფის პასუხისმგებელი პირის მიერ წარმოებულ რეესტრში. რეესტრში შეტანილია ვაშლის ბაღების საკადასტრო დეტალები და თითოეული ნაკვეთის მონაცემები მესაკუთრის, ტერიტორიის, ამ ტერიტორიაზე განლაგებული ვაშლის ხეების რაოდენობის, ვაშლის ჯიშებისა და საშუალო წლიური წარმოების შესახებ. წარმოების პროცესის ნებისმიერ რგოლში დასაქმებული პირის მიერ მიღებული და გაცემული პროდუქტების რაოდენობათა აღრიცხვა, შესაბამისი დოკუმენტაციისა და ჩანაწერების წარმოება და ყოველი მათგანის მიერ მაკონტროლებელი სტრუქტურისათვის ინფორმაციის დროული მიწოდება უმნიშვნელოვანესი პირობაა ვაშლის წარმოშობის მიკვლევადობისათვის.

6. კავშირი გეოგრაფიულ არეალთან

6. 1. ბუნებრივი პირობები

შიდა ქართლის ვაკეს ჩრდილოეთიდან კავკასიონის ქედები, ხოლო სამხრეთიდან თრიალეთის ქედი ეკვრის. აქ გაბატონებულია მშრალი სუბტროპიკული ჰავა, რომელზეც გავლენას ახდენს მის გარშემო მდებარე მაღალი ქედები. წლის ცივ პერიოდში ხშირად ვითარდება ინვერსიები, ამიტომ ზამთარი უფრო ცივია, ვიდრე საქართველოს სხვა, იმავე სიმაღლეზე მდებარე ადგილებში. საშუალო წლიური ტემპერატურა მერყეობს 9-11°C შორის; იანვრის ტემპერატურაა -1-4°C, აგვისტოსი – 20.4-22.3°C, ხოლო აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა – 26-31°C, მაქსიმალური – 35-40°C. სავეგეტაციო პერიოდში 10°C-ზე მეტი ტემპერატურათა ჯამი 3100-3900, ხოლო მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა 2200-2300 საათია. აქაურობისათვის, ასევე, დამახასიათებელია დღის ტემპერატურის საგრძნობი ვარდნა ღამის განმავლობაში. დღის და ღამის ტემპერატურათა სხვაობა, ჩვეულებრივ, 120°C-ს აჭარბებს. ეს რეგიონი ხასიათდება ჰაერის მასების ინტენსიური გადაადგილებით. აქ, ძირითადად, გაბატონებულია დასავლეთის და აღმოსავლეთის ქარები. პირველი, ჩვეულებრივ, გრილი და ნოტიოა, მეორე – ზამთარში ნოტიო და ცივია, ზაფხულში – ცხელი. ნალექების რაოდენობა წელიწადში 500-800 მმ-ია. ხშირია გვალვა. ზამთარში თოვლის საბურველი დიდხანს არ დევს.

ამ რეგიონში, ძირითადად, გავრცელებულია ალუვიური, მდელოს კარბონატული და ალუვიური ყავისფერი კარბონატული, ნიადაგები. ნიადაგები არის მსუბუქი, კარგად დრენაჟირებადი და ჟანგბადით მდიდარი.

პროდუქტის წარმოების გეოგრაფიული არეალის ტერიტორიაზე მიედინება წყალუხვი მდინარეები – მტკვარი, ლიახვი და მათი მრავალი შენაკადი, რაც ქმნის კარგ პირობებს ბაღების ირიგაციისათვის.

6.2. ადამიანური ფაქტორი

ვაშლის გაშენებასა და მოყვანაში გორისა და ქარელის მოსახლეობის მიერ დაგროვილი მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება საშუალებას აძლევდა მათ ეწარმოებინათ მაღალი ხარისხის ვაშლი. ამასთან, ბოლო ათწლეულებში უცხოელი სპეციალისტების დახმარებით დაინერგა ვაშლის წარმოების თანამედროვე აგროტექნოლოგიები, შემოტანილ იქნა და ადაპტირდა ადგილობრივ პირობებთან ვაშლის ახალი ჯიშები. სახელმწიფოს მიერ ინიციირებული სპეციალური პროექტების ფარგლებში, ასეულ ჰა-ზე გაშენდა ახალი ინტენსიური განაშენიანების ვაშლის ბაღები. ფართოდ ვრცელდება, ასევე, ბაღების მორწყვის წვეთოვანი სისტემები.

მიმდინარეობს ხეხილის ბუნების არასასურველი ზემოქმედებისაგან დამცავი საშუალებებით გადახურვა და ხილის შენახვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, რაც იძლევა „გორის ვაშლის“ ხანგრძლივი შენახვის გარანტიას.

6.3. რეპუტაცია

„გორის ვაშლის“ დაცულ გეოგრაფიულ აღნიშვნად აღიარების მთავარ საფუძველს მისი რეპუტაცია და ცნობადობა წარმოადგენს. ვაშლის წარმოებით საქართველოს რეგიონებს შორის განსაკუთრებით ცნობილია შიდა ქართლი. კერძოდ, საქართველოში წარმოებული მრავალი ათეული ათასი ტონა ვაშლიდან შიდა ქართლზე მოდის 80% [2].

აღსანიშნავია, რომ შიდა ქართლის რეგიონში ვაშლის წარმოებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტებს, რაზეც მიუთითებს ის ფაქტი, რომ აქ არსებული სამი მილიონი ძირიდან, უდიდესი ნაწილი – 66% მოდის გორის მუნიციპალიტეტზე და 18% ქარელის მუნიციპალიტეტზე, რაც ვაშლის წარმოებისთვის ამ გეოგრაფიული ადგილის განსაკუთრებულ პოპულარობასა და რეპუტაციაზე მიუთითებს.

გორის ვაშლი პოპულარულია არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო ბაზარზე, რასაც ხაზს უსვამს გორის ვაშლის მნიშვნელოვანი რაოდენობის ექსპორტი, რომელიც წლიდან წლამდე იზრდება და მრავალ მილიონ დოლარს შეადგენს.

6.4. პროდუქტის სპეციფიკურობა

გორის ვაშლს გააჩნია მთელი რიგი მახასიათებელი, რომელთა ერთობლიობა მას განსაკუთრებულობას და სპეციფიკურობას სძენს, კერძოდ:

· ის გამოირჩევა მაღალი საგემოვნო თვისებებით და ნაზი სასიამოვნო არომატით;

· მასში კარგად არის დაბალანსებული სიტკბო და მჟავიანობა, რაც მას მიმზიდველ სიხალისეს სძენს;

· მისთვის დამახასიათებელია მომხმარებლისათვის ერთობ მნიშვნელოვანი წვნიანი და ხრაშუნა რბილობი;

· ხასიათდება ცოცხალი, მიმზიდველი შეფერილობით, რომელიც, ზოგიერთი ჯიშის შემთხვევაში, დამატებით პიკანტურ ტონალობებს იძენს (მაგ., აქ მოყვანილი გოლდენ დელიშესი მზის მხარეს დამატებით ვარდისფერია, ხოლო გრანი სმიტის 10-12% მოწითალო შეფერილობისაა).

6.5. მიზეზობრივი კავშირი

გორის ვაშლის მაღალი ხარისხი და მასთან დაკავშირებული პროდუქტის რეპუტაცია განპირობებულია მისი წარმოების არეალის ბუნებრივი პირობებითა და იქ არსებული ადამიანური ფაქტორით.

ბაღები გაშენებულია შედარებით მსუბუქ ალუვიურ და საკმაოდ ტენიან, კარგი აერაციის მქონე ლამიან ნიადაგებზე. ნიადაგები კარგადაა დრენაჟირებადი და ჟანგბადით მდიდარი, რაც ხელს უწყობს ფესვების და მთლიანად მცენარის ოპტიმალურ განვითარებას.

აქტიურ ტემპერატურათა ჯამი, რომელიც აქ 2100-2800°C უდრის, უზრუნველყოფს ხეხილის კარგ ზრდას და მსხმოიარობას. ტერიტორიის მაღალი განათება და ინტენსიური აერაცია ხელს უწყობს ფოტოსინთეზის პროცესს და ნაყოფში შაქრის დაგროვებას. დღისა და ღამის ტემპერატურათა სხვაობა, რომელიც აქ აღემატება 12°C-ს, განაპირობებს შაქრიანობა-მჟავიანობის ისეთ ბალანსს, რომელიც ვაშლს სძენს საოცარ სიხალისეს, ზრდის ნაყოფის შეფერილობის ინტენსივობას და მის მიმზიდველობას, ამასთანავე, რბილობს ანიჭებს სიმტკიცეს და სიხრაშუნეს.

გორის ვაშლის წარმოება ხორციელდება ამ რეგიონში ვაშლის მოყვანის არსებული საუკუნოვანი გამოცდილებისა და თანამედროვე აგროტექნოლოგიების შერწყმის საფუძველზე. სახელდობრ, გორის ვაშლი იწარმოება ისეთი ტექნოლოგიების და მეთოდების გამოყენებით, რომლებიც გარემოზე ახდენს როგორც დაბალ ზემოქმედებას, ისე ხელს უწყობს ადგილობრივი კლიმატური და ნიადაგობრივი უპირატესობების საუკეთესოდ გამოყენებას
და, იმავდროულად, უზრუნველყოფს ნაყოფის ხანგრძლივ და ხარისხიან შენახვას.

7. შეფუთვა და ეტიკეტირება

ბაზარზე განთავსებული დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა „გორის ვაშლის“ შესახებ ინფორმაცია მომხმარებელს უნდა მიეწოდოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

გორის ვაშლი მომხმარებელს მიეწოდება შეფუთული ან შეუფუთავი სახით. მომხმარებლისთვის შეფუთული სახით მიწოდებისას შეფუთვაზე დატანილი უნდა იყოს სიტყვები „გორის ვაშლი“ და „დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა“ და დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ოფიციალური სიმბოლო, რომლის გამოყენება

რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. ამასთან, ზემოთ მითითებული წარწერისაგან განსხვავებული ყველა სხვა შესაძლო წარწერისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს მნიშვნელოვნად ნაკლები ზომის ასოები.

შეუფუთავი სახით მომხმარებლისთვის მიწოდების შემთხვევაში, ყოველი ვაშლი იდენტიფიცირებული უნდა იყოს სტიკერით, რომელზეც დატანილია დასახელება „გორის ვაშლი“ და დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ოფიციალური სიმბოლო.

პროდუქტის ეტიკეტზე დასახელების აღნიშვნისას გამოიყენება:

ქართულად: **გორის ვაშლი**

ლათინური ასოებით: **Goris Vashli**

რუსული ასოებით: **Горис Вашли.**

8. მაკონტროლებელი ორგანო

გორის ვაშლის სპეციფიკაციასთან შესაბამისობის კონტროლს ახორციელებს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო.

---

[1] https://www.youtube.com/watch?v=erquuInJ6KI

[2] სოფლის მეურნეობა და სასურსათო უსაფრთხოება/სოფლის მეურნეობა/მრავალწლოვანი კულტურების წარმოება (2021 წ.) https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba